პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

№ 250 (5351) | კვირა, 30 ოქტომბერი 1938 წ. | ფასი 10 კაპ.

დღეს გაზეთშია:

ტყვარჩელისა და ტყიბულის მაღაროელებმა უკეთესად უნდა იმუშაონ (მე-2 გვ.)
კომკავშირის თბილისის კომიტეტის საზეიმო საიუბილეო პლენუმი (1-ლი გვ.)
საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოში (მე-2 და მე-3 გვ.)
გ. გიორგაძე — ფერო-შენადნობთა გიგანტი (მე-2 გვ.)
პარტიული ცხოვრება (მე-3 გვ.)
სანდრო ეული — ახალგაზრდობავ, მედგრად წინ, მაღლა! (მე-3 გვ.)
კალე გოგოხიძე — ოჯახის კომკავშირი (მე-3 გვ.)
მარიკა მიქელაძე — კომკავშირმა მოგცა ბედი (მე-3 გვერდი)
მაყვალა მრევლიშვილი — ცაცა ჭარდავა (მე-3 გვ.)
უცხოეთში:
რადიკალ-სოციალისტთა პარტიის მარსელის ყრილობაზე (მე-4 გვ.).
საფრანგეთისა და ინგლისის საზოგადოებრივ მოღვაწეთა მოწყობა (მე-4 გვ.)
თურქეთის რესპუბლიკის 15 წლისთავი (მე-4 გვ.)

რჩეული ბიბლიოთეკა

ტყვარჩელისა და ტყიბულის მაღაროელებმა უკეთესად უნდა იმუშაონ

ამ ორი დღის წინათ საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მორიგ პლენუმზე მოსმენილ იქნა საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მდივნის ამხ. მ. ჯალის მოხსენება ტყიბულნახშირისა და ტყვარჩელნახშირის ტრესტების მუშაობის შესახებ. ნახშირის ამოღების საქმეში, როგორც პლენუმზე აღინიშნა, გასულ წელთან შედარებით მათ მნიშვნელოვანი წარმატებები აქვთ, მაგრამ ამავე დროს ახასიათებთ მეტად სერიოზული ნაკლოვანებანი, რის შედეგად ნახშირის ამოღების გეგმა არადამაკმაყოფილებლად სრულდება.

ტყიბულის და ტყვარჩელის ქვანახშირის ტრესტების არადამაკმაყოფილებელი მუშაობა არ შეიძლება ახსნას ობიექტური მიზეზებით. ქვანახშირის ამოღების გეგმის შეუსრულებლობა, ქვანახშირის დაბალი სარისხიანობა გამოწვეულია შახტებში და მაღაროებში შრომისა და წარმოების არასწორი ორგანიზაციით, მძიმე მრეწველობის სახალხო კომისრის ამხ. ლ. მ. კაგანოვიჩის ხშირ ბრძანებათა არადამაკმაყოფილებლად შესრულებით.

ტრესტების ხელმძღვანელები, ქვანახშირის წარმოების მეთაურები ჯერ კიდევ ცუდად ასრულებენ პარტიისა და მთავრობის დირექტივებს ქვანახშირის მრეწველობაში მუშათა მტკიცე კადრების შექმნის, სტახანოვური მოძრაობის გაფართოების, შრომის დისციპლინის განმტკიცებისა და მუშათა საყოფაცხოვრებო მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ.

როგორც ტყვარჩელში, ისე ტყიბულში კვლავ ადგილი აქვს ქვანახშირის ამოღების მტაცებლური სისტემის გამოყენებას, რაც ზოგჯერ იწვევს ავარიებს, აფერხებს სამუშაოთა ციკლურობას.

მექანიზმების გამოყენება, განსაკუთრებით ტყვარჩელის მაღაროებში, ჯერ კიდევ არ გაუმჯობესებულა. სახვრევი ხაზები ტყიბულში ნელი ტემპით ეზრდება, ხოლო ტყვარჩელში არა თუ არ გაიზარდა, არამედ რამდენადმე შემცირდა კიდეც.

მოსამზადებელი სამუშაოთა გეგმის შეუსრულებლობა ტყვარჩელისა და ტყიბულის მაღაროებს ნახშირის ამოღების გეგმის ჩაშლას უქადის. ამას ნათლად მოწმობს ტყიბულის მაღაროების მუშაობის თუნდაც უკანასკნელი თვის მაგალითი. მიმდინარე წლის მესამე კვარტალში ტყიბულმა ნახშირის ამოღების გეგმა დაამყაყოფილებლად შეასრულა, ოთხივე კვარტალში კი — ოქტომბრის პირველ ორ დეკადაში — საგრძნობლად ჩამორჩა. ქვანახშირის ამოღების სადღეღამისო გეგმას უკვე ველარ ასრულებს. რით არის გამოწვეული ეს მდგომარეობა, თუ არა იმით, რომ ტყიბულელები მტაცებლური სისტემით მუშაობდნენ და დაიგრწყეს წინასწარი მოსამზადებელი მუშაობის ჩატარება. ქვანახშირის წარმოების ხელმძღვანელებმა უნდა შეითვისონ ის აზრი, რომ მოსამზადებელ სამუშაოთა გეგმის შესრულება მეორე რიგის საქმე კი არ არის, არამედ მთავარი და გადამწყვეტია ნახშირის ამოღების გეგმის გახალდებისათვის, მათ უნდა ესმოდეთ, რომ შახტი არ არის ქარხანა, სადაც დაზგა 10 – 15 წელიწადს ერთ ადგილს დგას. შახტში სამუშაო ადგილი მოძრავია, და ამიტომ მისი მომზადება აუცილებელია წინასწარ, ყოველდღე.

ქვანახშირის წარმოების სამეურნეო, პარტიული და პროფესიული ორგანიზაციები ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად იბრძვიან მაღაროებში სტახანოვური მოძრაობის ახალი აღმავლობისათვის.

ტყვარჩელის მაღაროებში მუშათა და ინჟინერ-ტექნიკოს მუშაკთა სოცშეჯიბრებაში ჩაბმა და მათდამი ხელმძღვანელობა, შეიძლება ითქვას, ჯერ კიდევ სუსტია. 800-ზე მეტი მუშიდან, რომელნიც შახტებში მუშაობენ, სტახანოველია მხოლოდ 78. უკეთესი მდგომარეობა ამ მხრივ არც ტყიბულის მაღაროებში გვაქვს.

ტრესტების ხელმძღვანელებს არ შეიძლიათ თავი იმართლონ ამ საქმეში. მაღაროებში სტახანოვური მოძრაობის რეზერვები უდიდესია და ულევია. ეს რეზერვები შეიცავენ დიდ შესაძლებლობას ქვანახშირის ამოღების გეგმების არა მარტო მთლიანად, არამედ დიდი გადაჭარბებით შესრულებისათვისაც. საჭიროა მხოლოდ მათი ამოძრავება, მათდამი ხელმძღვანელობა.

ქვანახშირის წარმოებაში ჩვენ გვყვანან საუცხოო სტახანოველები, რომლებიც შრომის შესანიშნავ ნიმუშებს იძლევიან, მათი გამოცდილების ფართოდ გავრცელება უდიდეს სამსახურს გაუწევს მაღაროებში სტახანოვური რიგების ზრდას, სტახანოვური მუშაობის კოლექტიური ორგანიზაციის დანერგვას.

ტყიბულის ქვანახშირის მრეწველობის მოწინავე მეთაურებმა ლ. ცქიფურიშვილმა, ვ. ცირეკიძემ, ბეშკენაძემ და სხვებმა ქვანახშირის წარმოების რაიონების პარტიულ, საბჭოთა და კომკავშირულ ორგანიზაციებისაგან მოითხოვს ბოლშევიკური მუშაობის გაჩაღებას, რათა საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ისა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს, აგრეთვე საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის პლენუმის დადგენილებები, რომელნიც წარმოადგენენ ქვანახშირის ტრესტების მუშაობის გაუმჯობესებისა და ნახშირის ამოღების გაზრდილ პროგრამას, დაყვანილ იქნას მაღაროს თვითეულ მუშამდე. მის საფუძველზე გაშლილი მუშაობით უნდა მივაღწიოთ წარმატებებს ქვანახშირის ამოღების და ხარისხის გაუმჯობესების საქმეში, უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ამხანაგ სტალინის მიერ საქართველოს წინაშე დაყენებული საბრძოლო ამოცანა საკუთარი ნახშირით საქართველოსა და ამიერ-კავკასიის მოთხოვნილებათა უზრუნველყოფის შესახებ — ბოლშევიკურად განვახორციელოთ.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის პლენუმი ქვანახშირის წარმოების რაიონების პარტიულ ორგანიზაციებს ავალებს გადაჭრით გააძლიეროს პარტიულ-აღმზრდელობითი მუშაობა მაღაროებში, უფრო ღრმად შეიჭრას შახტებში. კომუნისტების მეტი ნაწილი სამუშაოდ უნდა გაგზავნოს უშუალოდ იქ, სადაც სწყდება ქვანახშირის ამოღების გეგმის შესრულების ბედი — უბნებსა და ლავებში. მკვეთრად უნდა გავუმჯობესოთ მუშათა საყოფაცხოვრებო პირობები, მეტი მომსახურება გაუწიოთ მაღაროელებს მათი კულტურული ჰორიზონტის გასაფართოებლად. ქვანახშირის წარმოების რაიონისა და ადგილმპრივი პარტიული ორგანიზაციების უაღრესად სერიოზული ამოცანაა განახორციელონ საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-სა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს დადგენილებანი. უზრუნველჰყონ სტალინური სახკომის ამხ. ლ. მ. კაგანოვიჩის ბრძანებათა ცხოვრებაში გატარება.

საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ისა და სახკომსაბჭოს დადგენილების სრულად განხორციელებით, სტალინური სახკომის ამხ. ლ. მ. კაგანოვიჩის ბრძანებათა მტკიცედ გატარებით საქართველოს ქვანახშირის მრეწველობის მუშაკები უეჭველად მიაღწევენ ისეთ წარმატებებს ქვანახშირის ამოღების საქმეში, როგორიც ბოლშევიკებს სჩვევიათ.

ჯ. ოსიპენკოს საუბარი თავის თანამემამულეებთან

ბერდიანსკი (დნეპროპეტროვსკის ოლქი). 28 ოქტომბერი (საკდესი). გუშინ გვიან საღამოს გმირი მფრინავი ქალი პოლინა ოსიპენკო მოსკოვიდან ტელეფონით ელაპარაკა ბერდიანსკის რაიპარტკომის მდივანს ემეცს.

თვითმფრინავ „როდინას“ სახელოვანი ეკიპაჟის სახელით პოლინა ოსიპენკომ ბერდიანსკის რაიონის მშრომელებს მხურვალე ბოლშევიკური სალამი და გულითადი მადლობა გადასცა მის თანამემამულეთა იმ მზრუნველობისათვის, რაც მათ თვითმფრინავის ეკიპაჟისა და პოლინას დედის — ფელდშერა თეოდორეს-ასულის მიმართ გამოიჩინეს.

პოლინა დენისის-ასულმა განაცხადა, რომ იგი თავის ამხანაგებთან ერთად ეს-ეს არის დაბრუნდა კრემლიდან, სადაც „როდინას“ ეკიპაჟი მიიღეს პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებმა. ამხ. ოსიპენკომ ამხ. ემეცს გაუზიარა თავისი დაუვიწყარი შთაბეჭდილებანი ამხანაგ სტალინთან და მის უახლოეს თანამებრძოლებთან შეხვედრის შესახებ.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს— ამხ. კ. ჩარკვიანს

ძვირფასო ამხანაგო **ჩარკვიანო!**

ამიერ-კავკასიის რკინიგზის სტახანოველ-კრივონოსელთა შეკრება თავის მგზნებარე ბოლშევიკურ სალამს გიძღვნით თქვენ, რევოლუციის ლოკომოტივის დიად მემანქანეს, მთელი მსოფლიოს მშრომელთა საყვარელ მეგობარსა და ბელადს.

თქვენმა ბრძნულმა მითითებებმა, რომლებიც თქვენ მოგვეცით საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის თებერვალ-მარტისა და იანვრის პლენუმებზე, შეგვაიარაღეს ჩვენ, ამიერ-კავკასიის რკინიგზის პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკები, საბჭოთა ხალხის ყველა მტრებთან — ტროცკისტ-ბუხარინელ არამზადებთან, ბურჟუაზიულ ნაციონალისტებთან, მენშევიკებთან, დაშნაკებთან, მუსავატელებთან და ფაშიზმის დანარჩენ საზიზღარ დაქირავებულებთან დაუნდობელი ბრძოლისათვის.

ლენინ-სტალინის დიდი პარტიის ხელმძღვანელობით, საკ. კ. პ. (ბ) სტალინური ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის კომუნისტური პარტიების (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტების ყოველდღიური დახმარებითა და ხელშეწყობით, ამიერ-კავკასიის რკინიგზელებმა გაანადგურეს მტრის ძირითადი ბუდეები რკინიგზაზე. ხელმძღვანელ პოსტებზე დაწინაურებული არიან ახალი ახალგაზრდა კადრები, პარტიის საქმის ღრმად ერთგულნი, სოციალისტური სამშობლოს პატრიოტები.

მტკიცედ გვახსოვს რა, ამხანაგო სტალინ, თქვენი მითითება ბოლშევიზმის დაუფლების აუცილებლობის შესახებ, ჩვენ ვეგზადებით პარტიის ისტორიის ღრმად შესწავლისათვის. ამ საქმეში უდიდეს დახმარებას გვიწევს საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი — ეს უძვირფასესი მარქსისტული ნაშრომი, რომელიც დამუშავებულია თქვენი უშიციატივით და თქვენი პირადი მონაწილეობით.

ძვირფასო ამხანაგო სტალინ! ჩვენი საყვარელი სახკომის, მუშაობის სტალინური სტილის ოსტატის ლაზარე მოსეს-ძე კაგანოვიჩის დაბრუნება ტრანსპორტზე ერთხელ კიდევ მოწმობს თქვენს პირად ზრუნველობას რკინიგზის ტრანსპორტზე, ტრანსპორტის ადამიანებზე. თქვენი მამობრივი მზრუნველობა და გულთბილი ყურადღება აღგვაფრთოვანებს ჩვენ ახალ გამარჯვებათა მოსაპოვებლად სოციალისტური ტრანსპორტის შემდგომი აღმავლობისათვის ბრძოლაში. თქვენი მითითება იმის შესახებ, რომ ტრანსპორტი უნდა იყოს „სწორად მომუშავე, კარგად მომქმედი, კარგი საათის მექანიზმივით ზუსტი კონვეიერი“, ჩვენ საფუძვლად დავუდეთ მთელ ჩვენს მუშაობას.

ჩვენს შეკრებაზე თქვენ, ჩვენს ბელადს, მასწავლებელსა და მეგობარს, გაძლევთ სტახანოვურ-კრივონოსულ სტუმარს, რომ სანიმუშოდ შევხვდეთ და ჩავატარებთ ზამთრის მომავალ ტვირთზიდვას, ამიერ-კავკასიის რკინიგზას გადავაქცევთ სანიმუშო მაგისტრალად, სოციალიზმის მტრებისათვის მიუდგომელ თავდაცვის ციხე-სიმაგრედ.

მთელს ჩვენს ძალღონეს და, თუ საჭირო იქნება, სიცოცხლესაც შევწირავთ იმას, რომ გავამართლოთ ჩვენდამი, რკინიგზელებისადმი, თქვენი ნდობა, მზრუნველობა და ყურადღება.

გაუმარჯოს ჩვენს დიდ ბელადსა და მასწავლებელს, შშრომელთა მეგობარს და საყვარელ სტალინს!

გაუმარჯოს ლენინ-სტალინის ძლეველ პარტიას!

გაუმარჯოს სსრ კავშირს — მთელი მსოფლიოს შრომელთა სამშობლოს!

უკანასკნელი ცნობები

ჩეხოსლოვაკია-უნგრეთის ურთიერთობა

პრაღა, 29 ოქტომბერი (საკდესი). განიხილა რა უნგრეთის ნოტა, ჩეხოსლოვაკიის მთავრობამ წინადადება მისცა უნგრეთს ყველა სადავო საკითხის რაც შეიძლება უფრო სწრაფად გადაწყვის მიზნით 24 საათის განმავლობაში მიმართოს გერმანიას და იტალიას თხოვნით არბიტრაჟის შესახებ. უნგრეთის მთავრობა დასთანხმდა პრაღის წინადადებას და დაუყოვნებლივ მიმართა თავის დიპლომატიურ წარმომადგენელთა საშუალებით გერმანიას და იტალიას. უახლოეს დღეებში მოხდება „არბიტრების“ შეხვედრა ჩეხოსლოვაკიისა და უნგრეთის დელეგაციებთან.

ქრონიკა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა გაათავისუფლა ამხ. მ. ი. რიჟოვი სსრ კავშირის სატყეო მრეწველობის სახალხო კომისრის მოვალეობისაგან. (საკდესი).

სსრ კავშირის სახკომსაბჭომ დაადგინა აღნიშნოს კონსტრუქტორების ამხ. პოლიკარპოვის, არხანგელსკისა და ილიუშინის სერიოზული წარმატებანი ახალი ტიპის თვითმფრინავთა კონსტრუირების საქმეში და დააჯილდოვოს თვითეული მათგანი 100 ათასი მანეთით და „ზის“ ავტომანქანით. (საკდესი).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა სსრ კავშირის სატყეო მრეწველობის სახალხო კომისრად დანიშნა ამხ. ნ. მ. ანცელოვიჩი.

სსრ კავშირის სახკომსაბჭომ გაათავისუფლა ამხ. ნ. მ. ანცელოვიჩი სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული საბჭოთა კონტროლის კომისიის თავმჯდომარის მოვალეობისაგან მის სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით.

ხევსურეთში აღწერა დამთავრდა

(ტელეგრაფით „კომუნისტის“ რედაქციას)

ბარისახო, 29 ოქტომბერი. მთელ ხევსურეთში დავამთავრეთ მოსახლეობის აღწერა.

აღწერის რწმუნებული ჩაჩანიძე

მხატვარ პ. გუბინის პლაკატი ოქტომბრის რევოლუციის XXI წლისთავისა და კომკავშირის XX წლისთავისათვის.

„სოიუზფოტო“

კომკავშირის თბილისის კომიტეტის საზეიმო საიუბილეო პლენუმი

წითელი დროშებით, სამხიარულო ფერებით და საზეიმო განწყობილებით შეხვდა საქართველოს ნახევარმილიონიანი დედაქალაქის ახალგაზრდობა სახელოვანი, ორჯერ ორდენოსანი იუბილარის — ლენინურ-სტალინური კომკავშირის არსებობისა, ბრძოლებისა და შემოქმედებითი შრომის 20 წლისთავს.

დედაქალაქის მშრომელი ახალგაზრდობის საუკეთესო წარმომადგენლებმა საღამოს თავი მოიყარეს ფაღალაშვილის სახელობის ლენინის ორდენოსანი ოპერისა და ბალეტის თეატრის გაჩირაღდებულ და სახეიმოდ მორთულ დარბაზში მოწვეულ საქართველოს ალკკ თბილისის კომიტეტის საზეიმო პლენუმზე.

ეშვიათი გემოვნებითა და მხატვრული ოსტატობით მორთულ სცენას ამშვენებს რევოლუციის გენიოს — დიდი **ილიჩის** გრანდიოზული ძეგლის გამოსახულება, წინ ავანსცენაზე აღმართულია ხალხთა ბელადის და მასწავლებლის, ლენინის საქმის უბადლო განმგრძობის — დიდი **სტალინის** ფიგურა. იქვე აბრეშუმის წითელ ფონზეა საქართველოს მშრომელთა საამაყო შვილის ამხანაგ **ლავრენტი ბერიას** და კომკავშირის მებრძოლი ხელმძღვანელის ამხანაგ **ა. კოსარევის** მხატვრული პორტრეტები.

აიხადა ფარდა, გამოჩნდა მშვენივრად მორთული სცენა და წინ პრეზიდიუმის მაგიდა. პრეზიდიუმში იყვნენ: ამხანაგები **კ. ჩარკვიანი, ვ. ბაქრაძე, კ. შეროზია, მ. ჯალი, გ. სტურუა,** ა.-კ. სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი **ამხ. ტიულენევი, ა. მირცხულავა, შ. ჭანუყვაძე, თ. ბირკაძე, გ. ბაღდასაროვი, ვ. ცხოვრებაშვილი, ს. მილშტეინი, გ. კიკნაძე, მ. ბარამია, ვ. გაბუნია, ა. კვაჭაძე, ვ. სიხარულიძე,** ორდენოსანი პოეტი **ა. მაჭაშვილი, ნ. აგაშენაშვილი, მ. თომაძე,** ორდენოსანი მომღერალი **ნ. ყვარელაშვილი** და სხვ.

პლენუმს დაესწრნენ ჩვენი ქვეყნის წარჩინებული ადამიანები, მეცნიერმუშაკები. მსახიობები, ორდენოსნები, სტახანოველები, სსრკ-სა და საქართველოს უმაღლესი საბჭოების დეპუტატები, მწერლები, პოეტები...

საზეიმო პლენუმი გახსნა საქ. ალკკ ცენტრალური და თბილისის კომიტეტების მდივანმა ამხ. **შ. ჭანუყვაძემ.**

საზეიმო პლენუმის საპატიო პრეზიდიუმის არჩევისათვის თავმჯდომარემ წინადადებისათვის სიტყვა მისცა ამხ. თ. ბირკაძეს.

— წინადადება შემომაქვს ჩვენი პლენუმის საპატიო პრეზიდიუმში ავირჩიოთ მშრომელი ახალგაზრდობის მეგობარი, მამა და მასწავლებელი დიდი **სტალინი!**

ბელადის სახელის ხსენებისას გაისმა მჭუხარე ტაში და ოვაციების ხმაურმა მოიცვა მთელი დარბაზი. ისმოდა ძახილი: „სიცოცხლე და დღეგრძელობა დიდ ბელადს, ამხანაგ სტალინს“, „გაუმარჯოს საბჭოთა ახალგაზრდობის მზრუნველ მამას დიდ **სტალინს,** ვაშა“.

ამხ. ბირკაძემ დაასახელა საპატიო პრეზიდიუმის დანარჩენი წევრები, ამხანაგები: **მოლოტოვი, კაგანოვიჩი, ვოროშილოვი, კალინინი, მიქოიანი, ანდრეევი, ჟდანოვი, ეჟოვი, ხრუშჩოვი, ბერია, დიმიტროვი, კოსარევი,** დიახი და **ტელმანი.** ყველა მათგანის ხსენებისას გაისმოდა ტაშის გრიალი და „ვაშას“ ძახილი.

შემდეგ პლენუმზე მოხსენებით გამოვიდა საქ. ალკკ ც. კ-ის მდივანი ამხ. **ა. მირცხულავა.** ეს იყო მოხსენება სახელოვანი კომკავშირის მთელი განვლილი 20 წლის დაუვიწყარი ბრძოლისა და გამარჯვებათა შესახებ.

დაიწყო მისალმებების მოსმენა.

სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონ-სარემონტო ქარხნის ხუთათასიანი კოლექტივის სახელით **საზეიმო პლენუმს** მიესალმა საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ამავე ქარხნის სტახანოველი მუშა ამხ. **ი. დევსურაშვილი.**

ა.-კ. სამხედრო ოლქის თბილისის გარნიზონის კომკავშირელ წითელარმიელთა, მეთაურთა და პოლიტმუშაკთა სახელით დარბაზში გამოცხადდა დელეგაცია, რომელშიც შედიოდნენ არმიის შეიარაღებულ ნაწილთა წარმომადგენლები. დელეგაციას მხურვალე შეხვედრა მოუწყეს. პლენუმზე მგზნებარე პატრიოტული სიტყვა წარმოსთქვა დელეგაციის წარმომადგენელმა ამხ. **ოგანოვმა.**

საქართველოს და თბილისის მშრომელი ინტელიგენციის სახელით მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა საქ. უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა, ორდენოსანმა პროფ. **ა. ჯანელიძემ.**

დარბაზში შემოვიდა ჩვენი დიადი სამშობლოს საზღვრების ფხებზელ გუშაგთა — მესაზღვრეთა დელეგაცია. დელეგაციის სახელით სიტყვა წარმოსთქვა ამხ. **ცამანინმა.** მესაზღვრეები შესცვალა თბილისის პიონერთა დელეგაციამ. ნორჩმა პიონერებმა მუსიკასთან და ყვავილებთან ერთად დარბაზში განსაკუთრებული სიხარული და აღფრთოვანება შემოიტანეს. ტრიბუნაზე ავიდა ნორჩი პიონერი ლამარა ჩოჩია. იგი ლამპარაკობს ლამაზად. მოსწრებულად, მშვენივრად. მხურვალე ტაშით და ოვაციით გააცილა დარბაზმა პიონერთა დელეგაცია.

შემდეგ მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა საქართველოს განათლების სახალხო კომისარმა ამხ. **გ. კოკნაძემ,** რომელიც პლენუმს მიესალმა საქართველოს მასწავლებელთა და კულტურის ფრონტის მუშაკთა სახელით.

საქართველოს ბოლშევიკების პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების სახელით მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მდივანმა ამხ. **კ. შეროზიამ.**

პლენუმმა მისალმებით მიმართა ხალხთა ბელადსა და მასწავლებელს, საამური ცხოვრების შემომქმედს **დიდ სტალინს,** საქართველოს ხალხის საამაყო შვილს ამხანაგ **ლ. ბერიას** და კომკავშირის სახელოვან ხელმძღვანელს ამხანაგ **ა. კოსარევს.**

ა.-წ. 1 ნოემბერს, საღამოს 8 საათზე, ძერჟინსკის სახელობის კლუბში, (ბესიკის ქ. № 3), ქალაქ თბილისის პროფესორ-მასწავლებელთა, ინჟინერ-ტექნიკოსთა ხელმძღვანელი შემადგენლობისათვის შესდგება **ამხ. ბ. ლიუდვიგოვის მოხსენება თემაზე: „მარქსისტული პარტიის იდეების ლენინური გეგმა და ლენინის მიერ ბოლშევიზმის იდეოლოგიური და ორგანიზაციული საფუძვლების დამუშავება“.**

შესვლა მისაწვევი ბარათებით.

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის პარტიული პროპაგანდის, აგიტაციისა და პრესის განყოფილება.

პ. ოსიპენკოს საუბარი თავის თანამემამულეებთან

ბერდიანსკი (დნეპროპეტროვსკის ოლქი). 28 ოქტომბერი (საკდესი). გუშინ გვიან საღამოს გმირი მფრინავი ქალი პოლინა ოსიპენკო მოსკოვიდან ტელეფონით ელაპარაკა ბერდიანსკის რაიპარტკომის მდივანს ემეცს.

თვითმფრინავ „როდინას“ სახელოვანი ეკიპაჟის სახელით პოლინა ოსიპენკომ ბერდიანსკის რაიონის მშრომელებს მხურვალე ბოლშევიკური სალამი და გულითადი მადლობა გადასცა მის თანამემამულეთა იმ მზრუნველობისათვის, რაც მათ თვითმფრინავის ეკიპაჟისა და პოლინას დედის — ფელდშერა თეოდორეს-ასულის მიმართ გამოიჩინეს.

პოლინა დენისის-ასულმა განაცხადა, რომ იგი თავის ამხანაგებთან ერთად ეს-ეს არის დაბრუნდა კრემლიდან, სადაც „როდინას“ ეკიპაჟი მიიღეს პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებმა. ამხ. ოსიპენკომ ამხ. ემეცს გაუზიარა თავისი დაუვიწყარი შთაბეჭდილებანი ამხანაგ სტალინთან და მის უახლოეს თანამებრძოლებთან შეხვედრის შესახებ.

ვ. ი. ლენინის ძეგლი ზესტაფონის ფერო-შენადნობთა ქარხნის ეზოში. მუშათა ახალი საცხოვრებელი სახლი, სტახანოველი ინჟინრები ამხ. ლ. მაღლაკელიძე და გ. შათირიშვილი. მარჯვნივ ფერო-შენადნობთა ქარხნის მთავარი კორპუსი.

ფოტო ე. იმედაძისა.

ჯ. ჯუღაშვილის მაღაროელთა გამოხმაურება

(ჯოხუში, ტელეგრაფით ჩვენი საქ. კორრესპონდენტისაგან)

ტყვარჩელის მაღაროების ბოლშევიკები ფართოდ იხილავენ სახკომსაბჭოს და ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებას ქვანახშირის ცალკეული ტრესტების მუშაობის შესახებ და მძიმე მრეწველობის სახალხო კომისრის კაგანოვიჩის ბრძანებას ტყვარჩელქვანახშირის მუშაობის შესახებ.

24 ოქტომბერს ამ საკითხზე ჩატარდა მაღარკომის გაფართოებული პლენუმი, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება და ცალკეულ ბრიგადებს მიამაგრა პლენუმის წევრები აღნიშნული დადგენილებისა და ბრძანების გასაცნობად. 25 ოქტომბერს მაღაროს ლავებში ჩატარდა მუშათა და ინჟინერ-ტექნიკოსთა კრება, რომელსაც 400-ზე მეტი მაღაროელი დაესწრო და რომელშიც განიხილა მოხსენება აღნიშნული საკითხის გარშემო. სიტყვებით გამოსულმა მუშებმა ამიჩბამ, ჩოკანოვმა, იპოლიტოვმა, ებრალიძემ, შალამბერიძემ და სხვებმა აღნიშნეს ჩამორჩენის ნამდვილი მიზეზები, სტახანოვური მოძრაობის სუსტად გაშლა, მუშების საყოფაცხოვრებო პირობების მოუწესრიგებლობა, კადრების ცუდად განაწილება და გამოყენება, მექანიზმების გამოუყენებლობა და სხვა. მაღაროელებმა გაშალეს ბრძოლა ც. კ-ის და სახკომსაბჭოს მითითებების რეალიზაციისათვის და კიდეც მოიპოვეს სათანადო წარმატებები, 22 ოქტომბერს მაღაროში დღიური გეგმა შეასრულა 107 პროცენტით, 23-ში 112-ით, 25-ში 100 პროცენტით, ხოლო 27-ში 98-ით.

ზესტაფონის ფერრო-შენადნობთა ქარხნის 5 წლისთავი

ფ ე რ რ ო-შ ე ნ ა დ ნ ო ბ თ ა გ ი გ ა ნ ტ ი

ქობულაძისეულ ჭაღაში

იმერეთის მთების ციცრო ხეობაში ყვირილითა და ზათქით მოიცვლევს გზას გამურული ყვირილა. თითქოს მას ეკიბრებაო, კივილით და გრიალით მოსდევს ტანმორჩილი მატარებელი. აი ორთავემ დასტოვა ციცრო ხეობები და სალი კლდეები—გაიაკეს და დაეშვენენ ქვემო-იმერეთის დაბლობისაკენ.

ჯაობა, გაუვალი ჯაგბარი, ასწლოვანი მუხებით შეფენილი ფერდობები, ქვეწარმავალთა საბუდარი—აი რას წარმოადგენდა თვითმპყრობელობისა და მენშევიკების დროს ეს მიდამო, ქობულაძისეულ ჭალად წოდებული. იწვებზე და მწყერებზე მონადირე იმერელი აზნაური თუ გაივლიდა ამ მივარდნილ ადგილას, რომლის მყუდროებას თოფის ხმა ან ტურის კივილი თუ დაარღვევდა.

ხუთიოდე წელი დასჭირდა ბოლშევიკურ მარჯვენას, რომ ამ შმორის, სიდამპლისა და სიავერანის ადგილას ვეებერთელა ინდუსტრიული ქალაქი შეექმნა.

2 კვადრატული კილომეტრის მანძილზე გადაჭიმულა ახალი ფერო-ქალაქი, ჯერ კიდევ ახალგაზრდა, 5 წლის ასაკის რკინის ქალაქი. 2-3-სართულიანი თლილი ქვისა და აგურის ლამაზი სახლები, მშვენიერი წყალსადენი, კანალიზაცია, ასფალტ-ჩაცმული ფართო ქუჩები, რომელთაც მუდამ მწვანე პალმებისა და კვიპაროსების ხეივნები ამშვენებენ, ბაღები, სკვერები, კლუბი, კინო, რადიო, წიგნთსაცავი, სამკითხველო, არასრული საშუალო და საშუალო სკოლები, საბავშვო ბაგა-ბაღი, სავაჭრო დაწესებულებები—აი ნამდვილი თანამედროვე ქალაქი 4000-ზე მეტი მობინადრით.

როგორ იშვა ფერრო-ქალაქი

მანქანათმშენებლობის, ელექტროტექნიკის, ქიმიური და სხვა მრეწველობის გიგანტურმა განვითარებამ ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის სტალინური პოლიტიკის ბრწყინვალე გამარჯვების შედეგად საბჭოთა მეტალურგიის წინაშე გადაუდებელ ამოცანად დასვა ფერროშენადნობთა საკუთარი ბაზის შექმნა. თანამედროვე მეტალურგიის დამახასიათებელი მხარე ყველა კაპიტალისტურ ქვეყანაში — ეს არის ნახშირბადიანი ფოლადის შეცვლა მაღალხარისხოვანი ლეგირებული ფოლადით. იმისათვის, რომ ფოლადს მაღალი ხარისხი და გამძლეობა მიეცეს, მასში შეტანილ უნდა იქნას სპეციალური ელემენტები—ქრომი, ნიკელი, ვოლფრამი, მარგანეცი, რომლებიც მას სპეციფიკურ თვისებებს ანიჭებენ. ისეთი ელემენტები, რომელნიც ფოლადს განსაკუთრებულ მაღალხარისხოვან თვისებებს აძლევენ, მასში შეაქვთ რკინასთან შენადნობის სახით, რასაც ფერროშენადნობი ეწოდება.

ბოლშევიკური პარტიის მიერ გადადგმული მტკიცე ნაბიჯი ფერროშენადნობთა საკუთარი ბაზის შესაქმნელად მიზნად ისახავდა კაპიტალისტური ქვეყნებისაგან დამოუკიდებლობის კიდევ უფრო განმტკიცებას. ამ საკითხის დამუშავება საბჭოთა კავშირში დაიწყო 1925 წელს. ფერროშენადნობთა პირველი ქარხნის აგება გადაწყდა დნეპრზე. სწორედ ამ ხანებში საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ, რომელიც ამუშავებდა ჩვენი ქვეყნის მდიდარეთა რესურსების გამოყენების პრობლემას, წამოაყენა მდინარე რიონის ენერგიისა და ჩვენი ნედლეულის ბაზაზე ფერროშენადნობთა ელექტრომეტალურგიული ქარხნის აგების პროექტი, რაც სავსებით მიზანშეწონილად სცნო საკავშირო მთავრობამ.

1929 წელს ჩამოყალიბდა ზესტაფონის ფერროშენადნობთა ქარხნის მშენებლობის სამმართველო. მაგრამ, როგორც ვთქვით, ამ მხრივ ჩვენ არავითარი გამოცდილება არ გვქონდა და იძულებული ვიყავით ქარხნის მთელი საღუმელო მოწყობილობა დაგვეკვეთა უცხოეთის ფირმასთან და მასთანვე დაგვედო ხელშეკრულება ქარხნის დაპროექტებასა და მონტაჟზე. ამ ფირმას ამუშავებული უნდა ჩაებარებინა ქარხანა.

მთელი სიმწვავით დაისვა კადრების საკითხი. ჩვენი ნედლეულის ვარგისიანობაც არ იყო შემოწმებული დნობის ცდების საშუალებით. ნედლეულზე ცდების ჩასატარებლად და კადრების მოსამზადებლად თბილისში, დიდუბეში, 1930 წელს აგებულ იქნა საცდელი ქარხანა. ცდებმა კარგი შედეგები მოგვცა. თანდათანობით კადრებიც აღიზარდნენ.

ზესტაფონის ფერროშენადნობთა ქარხნის მექანიკური ნაწილი მთლიანად გადაკეთდა ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებში გამოზრდილმა ახალგაზრდა სპეციალისტებმა შრომის ენტუზიასტებთან — სტახანოველებთან ერთად, მოახდინეს ძველი ღუმელების რეკონსტრუქცია, დადგეს სამი ახალი ღუმელი მშობლიური მოწყობილობით, რომლებიც მუშაობენ უკვარისოდ და მინიმალური გაჩერებებით. გერმანული ელექტროდები შესცვალეს მშობლიურმა ელექტროდებმა, რომლებიც ამავე ქარხანაში მზადდება.

სისტემატურად გეგმის შეუსრულებლობა, წუნი, დოტაცია ზარალის ასანაზღაურებლად, — ასეთი იყო უცხოეთის ფირმისა და კლასობრივი მტრების მუშაობის შედეგი.

გასულ წელს კი ფერროშენადნობთა ქარხანამ 7 მილიონი 600 ათასი მანეთი მოგება მოგვცა, გამოუშვა რა 40 მილიონ 189 ათას მანეთად ღირებული ძვირფასი ფერროშენადნობი. წელს მოგება ნაკარაუდევია 8 მილიონ 600 ათასი მანეთის რაოდენობით.

თუ პირველად ქარხანა მხოლოდ ფერომარგანეცის შენადნობს იძლეოდა, ამჟამად ძირითადად მუშაობს ფეროსილიციუმის (75—45 პროცენტიანის) გამოდნობაზე. მან საბჭოთა კავშირის სხვა ფერროქარხნებს შორის თავისი ხვედრითი წონა ფეროსილიციუმის გამოდნობაში 80%-დე გაზარდა. ჯარდა ამისა, უშვებს სპეციალურ შენადნობებს, როგორიც არის სილიკომარგანეცი, სილიკოკალციუმი. ქარხანას მოემატა მოლიბდენის საამქრო, რომელიც უშვებს სპეციალურ შენადნობს ფერომოლიბდენს, რომლის ყოველი ტონა 20.000 მანეთად ფასობს. ქარხანას მოემატა ავრეთვე საცდელი საამქრო, რომელიც გვაძლევს მეტალურ მარგანეცს, მეტალურ ქრომს, მცირენახშირბადიან ფერომარგანეცს.

ზესტაფონის ფერროშენადნობთა ქარხნის ხელმძღვანელები. მარცხნიდან მარჯვნივ: ვ. ტახოთოვი (დირექტორის მოადგილე), შ. ლორია (პარტკომის მდივანი), ი. კეკელიძე (დირექტორი) და ნ. მელაძე (მთავარი ინჟინერი) ფოტო ი. იმედაძისა

ძვირფას ღითონთა ჯაღოსნური მზარეული

პირამდე ამოვსებულია 5000-ტონიანი ბუნკერი ჭიათურის მარგანეცით, აგერ კოქსის ზვინი დგას, იქ კიდევ ათეული ბუნკერები აჯამეთის კაჟით დატენილან.

ძალაუნებურად შიში შეგიპყრობს, როცა ამ გიგანტის აგრეგატები ერთბაშად მოძრაობაში მოვლენ. საშიშად დაიგრიალებს ბუნკერი, ხუილით ქვესკნელისაკენ გაუდახებს მარგანეცის, კოკსის, კაჟის ხვავს. და შენ რომ ქვესკნელი გგონია, იქ თურმე რეზინის სრიალა კონვეიერული ლენტია გადაჭიმული, რომელიც ანაზდეულად თხელ ფენად დაიალაგებს ცალცალკე თვითეულ საკაზმს და ანაზდეულად გააქროლებს მეექვსე სართულისაკენ.

ბუნკერთა ქვეშეთს ეწოდება საკაზმი სამქრო, სადაც განუწყვეტელი გრავანი, ხათქი და ჭახაპუნი ისმის, თითქმის მთელს კილომეტრს გაივლით ამ გამაყრუებელ გუგუნში, მანქანების, ღვედების, დინამოების დაგა-დუგში და არსად კაცის ჭაჭანება არ არის. თითქოს ადამიანები სადღაც განზრახ გაბიზნულანო.

ბუმბერაზი რომ სტომაქს ამოივსებს, ელექტროდები ძირს ეშვებიან, ღუმელის ფსკერზე რკინის ბურბუშელა აბზინდება. ელექტროღუმელი ჩართულია. ვოლტას რკალი თანდათან ძლიერდება, ძლიერდება ელვარება, ძვირფას მადნეულთა კაზმი თანდათან ინთქმება. ღუმელის ფსკერზე გავარვარებული სითხის მორევი დგება, რომელსაც ალი ასდის. ტემპერატურა დნობის ადგილას 3.500 გრადუსს უდრის.

როცა კაზმი სრულიად გადნება, ღუმელს ამორთავენ, ელექტროდები მაღლა იწევენ. გავარვარებულ სითხის მორევს რკინის ღეროებით ურევენ, რომ ლითონი ფსკერზე კარგად გამოიყოს.

დასრულდა დნობის პროცესი. ჭურის ხვრელი გაიხსნა და თხევად მდგომარეობაში შენადნობი ლითონი ღვარად ჩადის სპეციალურ ყალიბებში გასაცივებლად. გაცივდება, და ფერროშენადნობიც მზად არის ჩვენი სოციალისტური მრეწველობის სამსახურისათვის.

ფერრო-გიგანტის ტექნიკური ინტელიგენცია

ვინ წარმართავს ამ ურთულეს აგრეგატებიანი გიგანტის მუშაობას დღეს? მას წარმართავენ სტალინური ეპოქის შვილები, მშრომელი ხალხის წიაღიდან გამოსული, საბჭოთა სკოლებსა და ქარხნებში გამობრძმედილი ტექნიკური ინტელიგენცია.

ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანია კოლმეურნე გლეხის შვილი ამხ. შალვა ლორია, რომელიც ამ ქარხნის საძირკვლის ჩაყრის დღიდან ბოლშევიკურად მუშაობს აქ. მუშაობა დაიწყო ღუმელების მონტაჟზე ათისთავად, ღუმელების გაშვების შემდეგ მუშაობდა უფროს მდრობელად. ტექნიკის დაუფლებისაკენ იყო მიმართული მთელი მისი გულისყური, და კიდეც მიაღწია დნობის ოსტატის თანამდებობას, რაზედაც ახლა ძველი ინჟინრები მუშაობენ. მას „ფრიადზე“ აქვს ჩაბარებული სახელმწიფო გამოცდა.

ქარხნის დირექტორია კოლმეურნე გლეხის შვილი ინჟინერი ამხ. ივახე კეკელიძე, საბჭოთა მთავრობის სტაპანდიით გამოზრდილი თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტში, ფერროშენადნობთა დიდუბის საცდელ ქარხანაში დაიწყო მან გამოცდილების მიღება, დონბასის, ურალის მეტალურგიულ ქარხნებში გაავრცელა თავისი ცოდნა და ზესტაფონში დაბრუნებისას ქარხნის სადნობი საამქროს უფროსის მოადგილედ დაწყო მუშაობა, შემდეგ დაწინაურებულ იქნა მოლიბდენის საამქროს უფროსად, ახლა კი—დირექტორად.

ქარხნის მთავარი ინჟინერია ვლადიმერ მელაძე, რომელმაც 1930 წლის ბოლოს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო პოლიტექნიკური ინსტიტუტი, მუშაობდა დიდუბის საცდელ ქარხანაში ტექნიკურ ხელმძღვანელად. ზესტაფონის ქარხანაში მუშაობა დაიწყო სადნობი საამქროს უფროსის თანაშემწედ. შემდეგ დაწინაურებული იქნა საამქროს უფროსად. დირექტორის მოადგილეა ზესტაფონის ფეროგიგანტთან შეზრდილი ბოლშევიკი ინჟინერი ამხ. ს. ტ. ტახოთოვი, ამ ქარხანაში გაიზარდა სტახანოველი, შრომის გმირი ორდენოსანი დეპუტატი ამხ. ვალ. სალაძე. დღეს თბილისის ავტოქარხანას რომ უძღვება. ქარხნის კომკავშირული ორგანიზაციის კომიტეტის მდივანია სტახანოველი მდრობელი ამხ. გიორგი ბირბილაძე, რომელსაც ღუმელთან მუშაობის მრავალი სტახანოვური ნიმუში მოუცია.

ქარხანას დღეს ახალ-ახალ გამარჯვებებს მატებს 473 სტახანოველი, რომელთაგან მრავალი დაწინაურებულია პასუხსაგებ სამუშაოზე. მაგალითად, ცვლის უფროსი ამხ. ლ. მაღლაკელიძე დაწინაურებულია სადნობი საამქროს უფროსად, ცვლის უფროსი გ. ხუციშვილი — საცდელი საამქროს უფროსად, ცვლის უფროსი გ. ვეფხვაძე—მოლიბდენის საამქროს უფროსად. მდრობელი რ. საღარეიშვილი—სადნობი საამქროს ოსტატად, მუშა ვ. ლ. გვალია—უფროს მდრობელად მექურე კლ. დვალი — უფროს მდრობელად, მდრობელი ბენ. გამეზარდაშვილი—ბრიგადირად, მდრობელი ან. ვანდიშევი — სადნობი საამქროს ოსტატად, ოსტატი მარჯანიშვილი — ელექტროსაამქროს უფროსად, მექურე გ. მელქაძე — საამქროს ოსტატად და სხვა.

აი ეს, მშრომელი ხალხის წიაღიდან გამოსული ადამიანები დღეს საუკეთესოდ დაუფლებიან ქიმიურ ფორმულებს, ქიმიურ რეაქციებს. ფერროშენადნობთა წარმოების ტექნოლოგიურ პროცესებს, იმერელი გლეხისა და მუშის შვილები დღეს ჩინებულად იცნობენ მეწდლეების სისტემას, ვესის კანონებს, ვანტ გოფ-ლე შატელიეს პრინციპს.

და განა მარტო ტექნიკურ ლიტერატურას იცნობენ ისინი!

დღეს მთელი მათი გულისყური მიპყრობილია იქითკენ, რომ ღრმად შეისწავლონ ბოლშევიკური პარტიის გმირული ისტორია, რომელიც მათ შეაიარაღებს საზოგადოებრივი განვითარების და პოლიტიკური ბრძოლის კანონების ცოდნით, რევოლუციის მამოძრავებელ ძალთა ცოდნით.

გ. გიორგაძე

ზესტაფონის ფერროშენადნობთა ქარხნის სტახანოველები მარცხნიდან მარჯვნივ: მ. ციმბალი, ა. მარჯანიშვილი, შ. გიორგაძე, ბ. მელაძე, ტ. კორკოტაძე, ნ. ქათამაძე, ა. ვანდიშევი, მ. შემეტუნი, ი. ებახოიძე, ვ. გვალია და რ. საღარეიშვილი. ფოტო ი. იმედაძისა

დაჯილდოება სსრ კავშირის ორდენებით. მედალებით „მამაცობისათვის“ და „სანაშრომო დამსახურებისათვის“

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით, საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის, ხასანის ტბის რაიონის დაცვისას გამოჩენილი გმირობისა და მამაცობისათვის საბჭოთა კავშირის ორდენებით და სსრკ მედალებით დაჯილდოებული არიან მუშურ - გლეხური წითელი არმიის მეთაურთა, უფროსთა შემადგენლობა, წითელარმიელები, უფროსთა და მეთაურთა შემადგენლობის ოჯახის წევრები, ჰოსპიტალებისა და სავაჭრო ფლოტის მუშაკები.

ლენინის ორდენით დაჯილდოებული არიან: უმცროსი მეთაური ა. ფ. ზოსი, წითელარმიელი ხამიტ კურბალევი, ლეიტენანტი პ. ი. კურდიუკოვი, წითელარმიელი ფ. ე. კორიაკოვი, უმცროსი მეთაური ნ. მ. კურკოვი, წითელარმიელი მ. ნ. კუვშინოვი, ლეიტენანტი ს. მ. კონოვალოვი, წითელარმიელები ნ. პ. კოშკინი, ფ. ი. კარტაშევი, პ. ა. კობიაკოვი, ფ. ნ. კოვილიაევი, ი. დ. კოსობოკოვი, მ. ს. კოკოტკინი, მ. ი. ლიტკინი, რ. ე. ლისიანკა, ა. ნ. ლუკიანენკო და პ. ა. მედვედევი, უფროსი ლეიტენანტი ა. ფ. ლასკინი და ლეიტენანტი ს. ს. ლობანოვი, პოლიტხელი მ. ნ. მალახოვი.

„წითელი დროშის“ ორდენით დაჯილდოებულია 280 კაცი. მათ შორის—წითელარმიელები ს. დ. ავდიშოვი, მ. ჯ. ასტაშკინი, ლ. პ. ბარანჩიკოვი, ფ. ლ. ბოროვიკი, ა. ა. ვაბოვი, პ. დ. ვოროშა, ლ. მ. გუდალინი, გ. ი. დანილჩენკო, გ. ი. დემჩენკო, პ. პ. დუბოვი, ვ. ი. ეფანოვი, პ. გ. ეუკოვი, მ. ნ. ეუკოვი, უმცროსი მეთაურები: მ. ი. ბარანოვი, ს. დ. გაბრინი, ა. დ. გილფონდი, ი. ვ. დიდენკო, ა. ტ. ეგორენკო, ლეიტენანტები: ნ. ი. ბარჩუკი, ი. ს. ბელსკიხი, პ. მ. გალკინი, ვ. ე. გოლოცოვი, ბატალიონის კომისარი ა. მ. გავრილოვი, კაპიტანი დ. ა. გორშკოვი, სამხედრო ფერშალი ა. ე. გენერალოვი და სხვ.

„წითელი ვარსკვლავის“ ორდენით დაჯილდოებულია 280 კაცი. მათ შორის: ე. ნ. ალექსეევა, ნ. ა. არტიუხი, მ. ნ. ახუტინი, წითელარმიელები: რ. მ. ბასოვსკი, ვ. დ. ბაუტინი, მ. ს. ვლადიმერცევი, ი. ვ. ვუხარევსკი. ლეიტენანტები: ი. ა. ბალდუკი, ი. გ. ბასკოვი, ი. ა. ბახმეტიევი, ა. გ. ვოზჟაევი, კაპიტანი ვ. ი. ბარდიმი, კაპიტანი მ. მ. ბაშკირცევი, მაიორი ს. ს. ბუხტინი, 1-ლი რანგის სამხედრო ინჟინერი მ. პ. ბაკშინი, 1-ლი რანგის სამხედრო ტექნიკოსი ფ. ხ. ბრატუსი, პოლიტხელი ი. მ. ბოროდინი და სხვ.

მედალით „მამაცობისათვის“ დაჯილდოებულია 220 კაცი, 220 კაცი დაჯილდოებულია მედალით **„სანაშრომო დამსახურებისათვის“.**

ხაშურელ მეორთქლმავლეთა გამარჯვებანი

ხაშური, (საქდესი). ხაშურის საორთქლმავლო დეპოს მუშები და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი ემზადებიან, რათა ღირსეულად შეხვდნენ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXI წლისთავს. ყველა ორთქლმავალი მომზადებულია შემოდგომისა და ზამთრის გადაზიდვებისათვის. საორთქლმავლო პარკმა 5,5 პროცენტით გადაამეტა ტექნიკურ სიჩქარეს. ორთქლმავლების გადარბენის გეგმებიყოველთვიურად გადამეტებით სრულდება. 11 ორთქლმავალი გარეცხვიდან გარეცხვამდე ურემონტოდ მუშაობს.

ბორჯომ-ხაშურის უბანზე მემანქანე თომაძეს 433 ტონიანი მატარებლები დაჰყავს, ხოლო მემანქანე ტუროვს—460 ტონიანი, ნორმა კი არის 300 ტონა.

ხაშურის მეორთქლმავლენი ემზადებიან იმისათვის, რათა 1-ლი ნოემბრიდან თბილის-ხაშურის უბანზე ატარონ 2.800 ტონიანი მატარებლები, ნაცვლად ნორმით გათვალისწინებულ 2.500 ტონიანისა.

ვალდებულებათა საუკეთესოდ შესრულებაში ხაშურის საორთქლმავლო დეპო ეჯიბრება ლენინაკანის საორთქლმავლო დეპოს.

წალენჯიხის რაიონმა შეასრულა ჩაის კრეფის გეგმა

წალენჯიხა, 29 ოქტომბერი. (**საკ. კორ.**). რაიონის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა 28 ოქტომბრისათვის ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის წლიური გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს. მოკრეფილია 1.213.554 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1.208.000 კილოგრამისა (გეგმა შესრულებულია 100,4 პროცენტით).

კრეფა გრძელდება.

გაგრის რაიონმა შეასრულა თამბაქოს დამზადების ოქტომბრის გეგმა

გაგრა, 28 ოქტომბერი (ტელეგრაფით საკ. კორ.). რაიონის კოლმეურნეობებმა და ერთპიროვნულმა მეურნეობებმა 26 ოქტომბერს შეასრულეს თამბაქოს დამზადების ოქტომბრის გეგმა. 27 ოქტომბრისათვის რაიონში დამზადებული იყო 119,5 ტონა პირველი შეტანის თამბაქო, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 118,5 ტონისა. მარტო 26 ოქტომბერს რაიონის მიმღებმა პუნქტებმა ჩაიბარეს 10 ტონაზე მეტი თამბაქო.

თამბაქოს დამზადებაში განსაკუთრებით წინ მიდიან ხრისტოფოროვკა და ხაშუთსის სასოფლო საბჭოები და ვოროშილოვის და ბერიას სახელობის კოლმეურნეობები.

რაიონში უკვე დაიწყო მეორე შეტანის თამბაქოს დამზადება.

გ. ვერკვილაძე

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოში

1938 წლის 26 ოქტომბერს ამახანაგა **ვ. მ. ბაქრაძის** თავმჯდომარეობით შესდგა საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს სხდომა.

განიხილა რა **რესპუბლიკური და ადგილობრივი ქვემდებარების მეურნეობის 1938 წლის 9 თვის კაპიტალურ სამუშაოთა გეგმის შესრულების მიმდინარეობის საკითხი,** საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭომ აღნიშნა, რომ კაპიტალური მშენებლობა 1938 წლის 9 თვის განმავლობაში არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობდა. კაპიტალურ სამუშაოთა სამი კვარტალის გეგმა დაფინანსების მხრივ შესრულებულია 71,8 პროცენტით, ხოლო წლიური გეგმა მთლიანად — მხოლოდ 59,2 პროცენტით.

მიუხედავად იმისა, რომ III კვარტალში სამშენებლო სამუშაოთა წარმოების რამდენადმე უკეთესი პირობები არსებობდა, სახალხო კომისარიატებმა, უწყებებმა და სამშენებლო ორგანიზაციებმა ვერ შესძლეს უზრუნველეყოთ გარდატეხა III კვარტალის კაპიტალური მშენებლობისა და კაპიტალურ სამუშაოთა გეგმის შესრულების მიმდინარეობაში, ხოლო ზოგიერთმა სახალხო კომისარიატმა შეამცირა კიდეც სამშენებლო სამუშაოთა წარმოების ტემპები 1938 წლის პირველ და მეორე კვარტალებთან შედარებით. ასე, მაგალითად, მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატმა პირველი კვარტალის კაპიტალური მშენებლობის გეგმა შეასრულა 78,1 პროცენტით, მეორე კვარტალისა—81,2 პროცენტით, მესამე კვარტალისა კი—მხოლოდ 77,6 პროცენტით. კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატმა პირველი კვარტალის გეგმა შეასრულა 64,4 პროცენტით, მეორე კვარტალისა—89,2 პროცენტით და მესამე კვარტალისა—73 პროცენტით. ცეკავშირმა პირველი კვარტალის გეგმა შეასრულა 70,5 პროცენტით, მეორე კვარტალისა—59,5 პროცენტით, ხოლო მესამე კვარტალისა—35 პროცენტით.

თბილისის საბჭოს საბინაო მშენებლობის გეგმა შესრულებულია პირველ კვარტალში 80,4 პროცენტით, მეორე კვარტალში — 62,2 პროცენტით, მესამე კვარტალში კი—მხოლოდ 38,1 პროცენტით, ხელოვნების საქმეთა სამმართველოს ხაზით პირველი კვარტალის გეგმა შესრულებულია 87,9 პროცენტით, მეორე კვარტალისა — 102,5 პროცენტით, ხოლო მესამე კვარტალისა—მხოლოდ 11,0 პროცენტით და ა. შ.

კაპიტალურ სამუშაოთა გეგმის შესრულებაში მნიშვნელოვან ჩამორჩენას აქვს ადგილი ჯანსახკომის ობიექტთა მშენებლობის ხაზით (სამი კვარტალის გეგმა შესრულებულია 58 პროცენტით), საკურორტო სამმართველოს ობიექტთა ხაზით (51,3 პროც.), მიწსახკომისა (58,6 პროც.), ხელოვნების საქმეთა სამმართველოს ობიექტთა ხაზით (57,5 პროც.), ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ობიექტთა ხაზით (68,9 პროც.).

მთლიანად ჯანსახკომის ხაზით კაპიტალურ სამუშაოთა გეგმის არადამაკმაყოფილებლად შესრულებასთან ერთად მკვეთრ ჩამორჩენას აქვს ადგილი ახალი სამშობიარო სახლების და საბავშვო ბაგების მშენებლობის ხაზით: 9 თვის გეგმა ახალი სამშობიარო ხახლების მშენებლობისა შესრულებულია 42,8 პროცენტით, ხოლო წლიური გეგმა —25,9 პროცენტით; საბავშვო ბაგების მშენებლობის 9 თვის გეგმა შესრულებულია 28,4 პროცენტით, ხოლო წლიური გეგმა—18,0 პროცენტით.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭომ განსაკუთრებით აღნიშნა საბინაო და კომუნალური მშენებლობის სრულიად შეუწყნარებელი ჩამორჩენა ქ. თბილისში. საბინაო მშენებლობის 9 თვის გეგმა შესრულებულია 51,9 პროცენტით, ხოლო წლიური გეგმა—36,1 პროცენტით. კომუნალური მშენებლობის 9 თვის გეგმა შესრულებულია 75,9 პროცენტით, ხოლო წლიური გეგმა —60,4 პროცენტით.

სახკომსაბჭომ დაავალა სახალხო კომისარიატებისა და უწყებათა ხელმძღვანელებს ერთი დეკადის ვადაში გულმოდგინედ შეამოწმონ მშენებლობის მდგომარეობა და დასახონ ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველჰყოფენ IV კვარტალის გეგმის შესრულებას და 9 თვის განმავლობაში თვითეული ცალკე ობიექტის მიხედვით გამოუყენებელი სახსრების მთლიანად ათვისებას; IV კვარტალის განმავლობაში ყოველდღიურად მოისმინონ სახალხო კომისარიატების კოლეგიის სხდომებზე მოხსენებანი კაპიტალური მშენებლობის მიმდინარეობის შესახებ და მიიღონ კონკრეტული ზომები ჩამორჩენილი ობიექტების მიმართ.

გამოყოფილი საშენი მასალის დროულად შემოტანის უზრუნველყოფის მიზნით, სახკომსაბჭომ წინადადება მისცა ლითონგასაღების თბილისის კანტორას (ამხ. გარსევანოვს) მიავლინოს პასუხისმგებელი მუშაკები საფონდო მასალების მომწოდებელ ქარხნებში, ხოლო საქტყემომარაგებამ (ამხ. არაქელოვმა) არაუგვიანეს ა.-წ. 1 დეკემბრისა უზრუნველჰყოს IV კვარტალის გეგმით კუთვნილი საფონდო ზე-ტყის მასალისა და სამი კვარტალის ნაკლულვერთის შემოტანა.

სახკომსაბჭომ დაავალა საქართველოს სსრ სახელმწიფო - საგეგმო კომისიას სისტემატური კონტროლი და მეთვალყურეობა გაუწიოს საშენი მასალის გამოყოფილი ფონდების რეალიზაციას და მის მიზანშეწონილად გამოყენებას.

აღნიშნა რა საბინაო ფონდის კაპიტალური რემონტის გეგმის არადამაკმაყოფილებელი შესრულება, საქართველოს სსრ სახკომსაბჭომ წინადადება მისცა თბილისის საბჭოს და საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატს სპეციალურად განიხილონ საბინაო ფონდის კაპიტალური რემონტის გეგმის შესრულების უზრუნველყოფის საკითხი და ერთი დეკადის ვადაში მოახსენონ საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს, თუ რა ზომები იქნება მათ მიერ მიღებული ამ საკითხზე.

○

საქართველოს სსრ სახკომსაბჭომ მოისმინა **საქართველოს სს რესპუბლიკური და ადგილობრივი მრეწველობის 1938 წლის 9 თვის მუშაობის შედეგების საკითხი** და აღნიშნა, რომ რესპუბლიკური და ადგილობრივი ქვემდებარების მრეწველობამ (კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატი, მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატი, ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატი, სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატი, სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატი) 1938 წლის 9 თვის განმავლობაში გამოუშვა 9,9 პროცენტით მეტი პროდუქცია, ვიდრე გასული წლის სათანადო პერიოდში.

მიუხედავად იმისა, რომ III კვარტალში გამოშვებული სამრეწველო პროდუქციის მოცულობა 1,4 პროცენტით აღემატება II კვარტალის გეგმის შესრულებას და 9,8 პროცენტით აღემატება გასული წლის სათანადო პერიოდის გეგმის შესრულებას, ადგილი აქვს საერთო პროდუქციის მოცულობის შემცირებას III კვარტალში, გასული წლის სათანადო პერიოდთან შედარებით, მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის საწარმოებში 4,9 პროცენტით და ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის საწარმოებში—1,3 პროცენტით.

III კვარტალის გეგმა მრეწველობამ მთლიანად შეასრულა მხოლოდ 91 პროცენტით. ამასთან კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატმა III კვარტალის წარმოების გეგმა შეასრულა 94,3 პროცენტით, მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატმა 83,9 პროცენტით, სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატმა 94,8 პროცენტით და ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატმა მხოლოდ 88,9 პროცენტით.

მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის ხაზით ძლიერ ჩამორჩენას აქვს ადგილი აბრეშუმის მრეწველობაში, რომელმაც III კვარტალის გეგმა შეასრულა მხოლოდ 74,2 პროცენტით და მატყლის მრეწველობის უმნიშვნელოვანეს საწარმოებში — თბილისის მაუდის ფაბრიკაში, რომელმაც გეგმა შეასრულა 84,5 პროცენტით, და ქუთაისის მაუდის ფაბრიკაში, რომელმაც გეგმა შეასრულა 87,7 პროცენტით.

საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის სისტემაში კვლავ გრძელდება გეგმის შესრულების მხრივ მნიშვნელოვანი ჩამორჩენა სამშენებლო მასალების საწარმოებში (III კვარტალის გეგმა შესრულებულია 67,3 პროცენტით) და სამთამადნო მრეწველობაში (გეგმა შესრულებულია 88,9 პროცენტით).

III კვარტალში განსაკუთრებით ცუდად მუშაობდნენ მთავარი საკურორტო სამმართველოს მინერალური წყლების საწარმოები, რომლებმაც გეგმა შეასრულეს 56,7 პროცენტით, ჯანსახკომის მედმომარაგების საწარმოები—15,4 პროც. ხელოვნების საქმეთა სამმართველო— 74 პროცენტი, კულტმომარაგება — 59 პროცენტი და უსინათლოთა საზოგადოება—83,2 პროცენტი.

სარეწაო კოოპერაციის სისტემაში III კვარტალის გეგმა შესრულებულია მხოლოდ 91,7 პროც., აქედან სარეწაო საბჭოს ხაზით—87,4 პროცენტით და საქტყემრეწვკავშირის ხაზით—96,9 პროც.

საქართველოს სს რესპუბლიკური და ადგილობრივი ქვემდებარების მრეწველობის მიერ III კვარტალის წარმოების გეგმის სრულიად არადამაკმაყოფილებლად შესრულების ძირითად მიზეზს წარმოადგენს ის, რომ სახალხო კომისარიატები, ცენტრალური ორგანიზაციები და უწყებები ხელმძღვანელობას უწევენ საწარმოებს.

სახკომსაბჭომ წინადადება მისცა საქართველოს სსრ ყველა სახალხო კომისარიატს, ცენტრალური ორგანიზაციებისა და უწყებათა ხელმძღვანელებს კოლეგიების სხდომებზე მოისმინონ III კვარტალის წარმოების გეგმის შესრულების შედეგები, გამოავლინონ საწარმოების მიერ გეგმის შეუსრულებლობის ნამდვილი მიზეზები და ცალკე თვითეული ჩამორჩენილი საწარმოს მიხედვით დასახონ ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველჰყოფენ IV კვარტალის წარმოების დაწესებული გეგმის შესრულებას.

IV კვარტალის გეგმის შესრულების საქმეში პრაქტიკული დახმარების გასაწევად მიამაგრონ იმ საწარმოებს, რომლებსაც III კვარტალის გეგმა არ შეუსრულებიათ, სახალხო კომისარიატების, ცენტრალური ორგანიზაციებისა და უწყებათა პასუხისმგებელი მუშაკები; სახალხო კომისრებმა და ორგანიზაციებისა და უწყებათა ხელმძღვანელებმა ყოველ დეკადაში პირადად შეამოწმონ თვითეულ საწარმოში IV კვარტალის გეგმის შესრულების მიმდინარეობა და დროზე მიიღონ კონკრეტული ზომები ჩამორჩენილი საწარმოების მიმართ.

სახკომსაბჭომ დაავალა სამრეწველო სახალხო კომისარიატების (მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატი, ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატი, კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატი, სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატი) ხელმძღვანელებს, საქართველოს სსრ ჯანსახკომს—ამხ. თოდაძეს, მთავარ საკურორტო სამმართველოს — ამხ. ფალავას, სარეწაო საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხ. ბავგულიძეს ა.-წ. 10 ნოემბრისათვის აცნობონ საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს, თუ რა ზომები მიიღეს მათ IV კვარტალის წარმოების გეგმის შესრულების უზრუნველსაყოფად.

○

მოისმინა რა ინფორმაცია საქართველოს სსრ სახკომსაბ

პარტიული ცხოვრება

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის სტალინის რაიკომის პლენუმი

28 ოქტომბერს, რაიონის პარტგაკითლების სახლში შესდგა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის სტალინის რაიკომის მორიგი პლენუმი.

პლენუმმა განიხილა ორი საკითხი: № 2 სამშენებლო ქარხნის პარტკომის მდივნის ამხ. ნაზაროვის და ელექტროცენტრალის მშენებლობის პარტორგის ამხ. გაბრიელოვის საანგარიშო მოხსენებები მათი მუშაობის შესახებ, და პარტკაიკომის მდივნის ამხ. ა. კვაჭაძის მოხსენება კომკავშირული ორგანიზაციების საარჩევნო კამპანიისადმი პარტიულ ხელმძღვანელობაზე.

ამხ. ნაზაროვისა და გაბრიელოვის მოხსენებათა გარშემო გამართულ კამათში გამოვიდნენ: ამხ. ჯრუთინოვა (ლიმონათის ქარხნის პარტკომის მდივანი), სურმავა (ტოშმატოლოგიური ინსტიტუტის პარტკომის მდივანი), ნონიკაშვილი (საქ. ალკკ თბილისის ორგანიზაციის სტალინის რაიკომის მდივანი), ყვაზაჩენკო (საქ. სატრანსპორტო-სანიტარო ინსტიტუტის პარტკომის მდივანი), ქემოკლიძე (რემედასის რაიკომი), ყენიქსონი (პარტკაიკომი), კერესელიძე (პარტკაიკომის კულტპროპაგანდისტორის გამგე), ძველაია (საქ. ინდუსტრიული ინსტიტუტის პარტკომის მდივანი), გ. გოგისვანიძე (საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის სტალინის რაიკომის მდივანი) და გ. კიკაჩეიშვილი (საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის სტალინის რაიკომის მდივანი).

პლენუმზე აღინიშნა, რომ № 2 სამშენებლო ქარხნის პარტორგანიზაციამ საკმაოდ გააუმჯობესა პარტიაში მოწინავე ადამიანთა მიღების საქმე. თუ პარტიაში მიღების განახლების დღიდან 1938 წლის იანვრამდე პარტიის რიგებში მიღებული იყო 3 კაცი, ამა წლის იანვრიდან დღემდე მიიღეს 19, ხოლო თანამგრძნობთა ჯგუფში 13. ყველა კომუნისტი და თანამგრძნობი ჩაბმულია პოლიტგანათლების წრეში.

საკმაოდ გაუმჯობესდა პარტიული მუშაობა თბილისის ელექტროცენტრალის მშენებლობის პირველადი პარტორგანიზაციაშიც. ყველა კომუნისტი და თანამგრძნობი გაერთიანებულია პოლიტსკოლებში. ყარგად არის დაყენებული თავდაცვითი მუშაობა, გარდაიქმნა საგიტაციო მუშაობაც და სხვ.

ამ მიღწევებთან ერთად აღნიშნულ პარტორგანიზაციებში აღგილი აქვს მთელ რიგ სერიოზულ ნაკლოვანებებსაც. № 2 სამშენებლო ქარხნის პირველადი პარტორგანიზაცია ჯერ კიდევ არასაკმაოდ იბრძვის პარტიის რიგების ზრდისათვის. პარტიის წევრობის კანდიდატებთან და თანამგრძნობებთან მუშაობა ფორმალობით ხასიათდება. მაგალითად, მოუმზადებლად ჩატარდა თეორიული კონფერენციები.

ამავე პირველადს პარტორგანიზაციაში პარტიის წევრობის 19 კანდიდატიდან პარტიული დავალება მიცემული აქვს 9 კაცს, ხოლო 22 თანამგრძნობიდან 13-ს. ყველა მუშა - მოსამსახურე არ არის აგრეთვე ჩაბმული საგიტაციო მუშაობაში.

№ 2 სამშენებლო ქარხნის პირველადი პარტორგანიზაცია ჯერ კიდევ ვერ ჩაუდგა სათავეში ქარხნის საწარმოო გეგმის შესრულებისათვის ბრძოლას. 1938 წლის 9 თვის გეგმა შესრულებულია მხოლოდ 92.8 პროცენტით. სუსტად ხელმძღვანელობენ სტახანოველებს, მაგალითად, ქარხანაში დაზგაზე მომუშავე 140 მუშიდან მხოლოდ 50 სტახანოველია. ქარხანაში ჩამოყალიბებული არ არის ტექსწავლების წრეები.

პლენუმზე აღინიშნა აგრეთვე ელექტროცენტრალის მშენებლობის პირველადი პარტორგანიზაციის სუსტი მუშაობა. მაგალითად, 1938 წლის განმავლობაში პარტიაში მიიღეს 6 კაცი, თანამგრძნობთა რიგებში კი 5, მაშინ როცა მშენებლობაზე მუშაობს 300 მუშა - მოსამსახურე, რომელთაგან ბევრია მოწინავე.

არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული ხელმძღვანელობა პარტკანდიდატების წევრებად გადაყვანის მხრივაც. პარტწევრობის 6 კანდიდატიდან 4 არის სტაჟგადაცილებული. პარტორგანიზაცია მათ ნაკლებად ეხმარება. სუსტია აგიტატორებისადმი ხელმძღვანელობა. მათთვის მოწყობილი არ არის აგიტკოლექტივი. მოუგვარებელია პარტიული მეურნეობაც. პარტორგანიზაცია თავის კრებებზე არ იხილავს პარტიული კრებების დადგენილებათა შესრულების შემოწმებას.

რაიკომის პლენუმმა თავის დადგენილებაში მიუთითა № 2 სამშენებლო ქარხნის და ელექტროცენტრალის მშენებლობის პარტორგანიზაციებს გაეძლიერონ პარტიაში მოწინავე სტახანოველთა მიღება, პარტიის წევრობის კანდიდატთა და თანამგრძნობთათვის მოაწყონ პარტიის წესდების და პროგრამის შემსწავლელი წრეები, თანამგრძნობებსა და კანდიდატებს მიამაგრონ პოლიტიკურად მომზადებული კომუნისტები, სისტემატურად ჩატარონ თეორიული კონფერენციები, რომელთა მუშაობაში ჩაებან ყველა პარტკანდიდატი და თანამგრძნობი. აგრეთვე უნდა გაუმჯობესდეს პოლიტიკური მუშაობა უპარტიო ინტელიგენციაში. საჭიროა, აღმოუჩინონ მას კონკრეტული დახმარება მარქსიზმ-ლენინიზმის დაუფლებაში, საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის ინდივიდუალურად შესწავლაში.

დღის წესრიგის მეორე საკითხზე — ამხ. ა. კვაჭაძის მოხსენების გარშემო გამართულ კამათში გამოვიდნენ ამხ. შუბლაძე (პოლიგრაფკომბინატი), გურამიძე (ცენტრალური პოლიკლინიკური ინსტიტუტი), ჭუთათელაძე (არტელ „წითელი მკერავი“), გოლოვინი (ინჟმშენის გარაჟი) და ნონიკაშვილი.

პლენუმმა ორივე საკითხის გარშემო მიიღო სათანადო პრაქტიკული ღონისძიებანი.

ალ. გოგოლაძე
ვლ. მეგრელაძე

საფუძვლიანად შევისწავლოთ ბოლშევიზმის გმირული ისტორია

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მითითებათა საფუძველზე წულუკიძის პარტიის რაიონულმა კომიტეტმა და რაიონის პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა მნიშვნელოვანი მუშაობა ჩაატარეს საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის შესწავლისათვის მოსამზადებლად.

რაიკომის ბიურომ შეარჩია და დაამტკიცა 72 ამხანაგი პარტიული და კომკავშირული აქტივიდან, რომლებიც მიმაგრებული არიან საწარმო - დაწესებულებებზე, კოლმეურნეობებზე, საბჭოთა მეურნეობებსა და სკოლებზე მოკლე კურსის ფართოდ პოპულარიზაციისათვის. საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის შესწავლისათვის მზადებასთან დაკავშირებით მოწინავე პარტორგანიზაციათა გამოცდილების გადმოტანის მიზნით ქ. თბილისში მოეწყო ექსკურსია 17 პარტიული აქტივისტის მონაწილეობით. ექსკურსიის მონაწილენი გაეცნენ თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის პირველადი პარტორგანიზაციის მუშაობას, კეცხოველის სახელობის პარტგანათლების სახლს, ლენინის მუზეუმის თბილისის ფილიალს და დაათვალიერეს სახლი ქ. გორში, სადაც დაიბადა და აღიზარდა მსოფლიო მუშათა კლასის გენიალური ბელადი დიდი სტალინი.



საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის კიროვის რაიკომის პარტკაბინეტში აგიტატორი ვ. ფ. ხიმშიაშვილი (თბილისის საბჭოს ინჟინერი) წერს „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ შესასწავლად რეკომენდებულ ლიტერატურას.
ფოტო ბუდეშტსკისა („სოიუზფოტოს“ საქ. განყ.)

პარტიის რაიონულ კომიტეტთან შექმნილია პროპაგანდისტთა საბჭო სემინარი პოლიტსკოლების ტიპების მიხედვით, სადაც 2 მეცადინეობა უკვე ჩატარდა. მეცადინეობა დაიწყო აგრეთვე რაიკომთან არსებულმა რაიპარტაქტივის ჯგუფმა, რომელშიაც გაერთიანებულია 30 ამხანაგი. პირველი მეცადინეობა ჩატარდა 3 ოქტომბერს, ხოლო მეორე — 14 ოქტომბერს.

რაიკომთან არსებულ პარტკაბინეტში ეწყობა ჯგუფური და ინდივიდუალური კონსულტაციები პარტიული და კომკავშირული პოლიტგანათლების ქსელის პროპაგანდისტებისა და აგიტატორებისათვის. პარტკაბინეტში კონსულტანტებად რაიკომის ბიუროს მიერ გამოყოფილია 8 ამხანაგი პარტიული აქტივიდან.

მთელმა რიგმა პირველადმა პარტორგანიზაციებმა და ცალკეულმა კომუნისტებმა უკვე გადასდგეს პრაქტიკული ნაბიჯები მოკლე კურსის შესწავლისათვის. სოფ. კინჩხის კოლმეურნეობა „წითელი ოქტომბრის“ თავმჯდომარე ამხ. ზ. გედენიძე საუკეთესოდ ათავსებს ერთმანეთთან სამეურნეო საქმიანობას და პარტიულ მუშაობას. მან მოსავლის აღების სწორ ორგანიზაციასთან ერთად თვითონ მოჰკიდა ხელი კოლმეურნეთათვის საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის განმარტებას — სისტემატურად ატარებს კოლმეურნეებთან ჯგუფურად საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის კითხვას.

ძეძილეთის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში აგიტატორი ამხ. ჩაკვეტაძე სისტემატურად ეწევა აგიტაციას. მან ამხანაგებს გააცნო საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის 3 თავი და „პრავდის“ მოწინავე წერილები.

მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ რაიონის რიგ პირველად პარტიულ ორგანიზაციებს ჯერ კიდევ ახასიათებთ სერიოზული ნაკლოვანებანი საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის შესწავლისათვის მზადების საქმეში. მაგალითად, სახერხი ქარხნის და აგურ - კრამიტის ქარხნის პირველადმა პარტორგანიზაციებმა (პარტორგები — ამხ. სვანიძე და გალდავაძე) ჯერ კიდევ ვერ უზრუნველჰყვეს მუშა - მოსამსახურეთა შორის საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის კითხვის მოწყობა.

წულუკიძის სტურუას სახელობის კოლმეურნეობაში ჯერაც არ დაუწყიათ საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის სათანადოდ გაცნობა. პარტორგი ამხ. ა. ჩიხლაძე თავს იმართლებს — მოსავლის აღებაზე ვმუშაობთო. ასეთივე მდგომარეობაა გორდის გეგეჭკორის სახელობის კოლმეურნეობაში (პარტორგი — ამხ. ჩიხლაძე, კოლმეურნეობის თავმჯდომარე — ამხ. გელენიძე) და სხვ.

ზოგიერთი აგიტკოლექტივი ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად მუშაობს აგიტატორთა მომზადებისათვის. მაგალითად, ქ. წულუკიძის მე-3 უბნის და კუხის აგიტკოლექტივებში (აგიტკოლექტივის ხელმძღვანელები ამხ. თ. ბარამიძე და კოსტავა) ორჯერ ჩაიშალა მეცადინეობა. სუსტია აგიტკოლექტივის მეცადინეობებზე დასწრებაც. პარტისტორიის შემსწავლელ მთელ რიგ პოლიტსკოლებში შეირიცა პოლიტმეცადინეობის ჩაშლა. მაგალითად, კუხის შიდატის სახელობის კოლმეურნეობის პირველადი პარტორგანიზაციის ორგანიზატორმა ამხ. გ. კაკაბაძემ უმიზეზოდ ორჯერ გააცდინა პოლიტმეცადინეობა.

საჭიროა გულდასმით შევარჩიოთ და მოვამზადოთ პროპაგანდისტული კადრები საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის ღრმად სწავლებისათვის. ყოველგვარი ხმაურის გარეშე სისტემატურად გავაცნოთ მშრომელთ საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი. საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის შემსწავლელ წრეებში უნდა ჩავაბათ ისეთი ამხანაგები, რომლებსაც შეუძლიათ წარმატებით ისწავლონ ჩვენი პარტიის ისტორია, დავეხმაროთ თვითეულ პარტიულ და არაპარტიულ ბოლშევიკს ინდივიდუალურად შეისწავლოს ლენინ - სტალინის დიადი პარტიის წარმტაცი ისტორია.

ვ. დავითაია.
საქ. კ. პ. (ბ) წულუკიძის რაიკომის მდივანი.

საანდრო ეული

ახალგაზრდობავ, მეჭდგრად წინ, მაღლა!

შენი გზა ბრძოლის ეტაპებია
და მოგონება გმირულ ამბების.
შენს მკერდს მტრის ტყვია დატაკებია,
მაინც გქონია ბრძოლა საქები.
ბეწვზე ჭკიდა სამშობლოს ბედი
შენ ბელადის ხმას ჭუხილით შეხვდი,
ახალ ცხოვრებას იცავდი მკერდით
და მტრის ბანაკებს ალებში ხვევდი.

შენი გზა შრომის ეტაპებია
დღეს რომ ქცეულა სიამის წყაროდ,
ზღვა ოკეანეს შემატებიხარ
რომ გადალეკო ძველი სამყარო.
რამდენი გმირის სახელი დაგაქვს,
სტახანოველნი ვინ დაითვალოს,
შენ მიწას აძლევ სიცოცხლის ბარაქს
შრომის დიდების ანთებულ კალოს.

მზად იყავ მუდამ, მედგრად წინ, მაღლა
გასწიო ხმელეთით, წყალზე, ჰაერში
შენ ხომ არა ხარ ხარ ჩვეული დაღლას
კვლავ ბრძოლის დროშა გეჭიროს ხელში.
წინ მიგიძღოდეს ბელადის სახე
მისი სახელი ატარე გულით
ახალგაზრდობავ, შენ მის გზას გაყევ
მისდამი ნდობით და სიყვარულით.

◇ ○ ◇

კალე გოგოხიძე

ოქუმის კომკავშირი

გზა დახვეული განლეთ გალიდან,
ბოლოვით ჩანდა ოქუმმდინარე
და ბუმბერაზულ მთების რკალიდან
მზე იბრებოდა შუქმომფინარე.
გაფითრებული იდგა ოსური —
მთა—შემოდგომის ოქროთ ნაფენი;—
ოქუმის მთებიც ფიქრით მოსილნი
მომავლის ელვით მოკიაფენი!
და აღვიძებდა არხს და ოქუმჰესს
კომკავმირული ჰიმნი, — მეგრული:
გაშლილ მდინარეს მხრები შეუკრეს
თითქმ მთაც იყო ხელებშეკრული!..
გათავდა შრომა, არის შამაში
ვერცხლისფერია მშვიდი სალამო,
მთვარე ზეცაურ ბადეს გადაშლის
და გულს ავრილებს სით სამო.
როცა დაბი ცაზე გაჰკრება
და ველი ცვარით მოისარკება
მოგარჯაშეთა ტუნდით ლაკერბა
ველს გადაირბენს—გადეკარგება...
კომკავმირელი ქალი ლუკავა
დაუწკრიალებს ჰიმნს დიდ ბელადზე,
იქვე ფერდობზე ჩონგურს უკრავენ
ტკბილად მღერიან ღვიძლ ბერიაზე.
ყოველი დილა შვებით თენდება:—
აქვს კოლმეურნეს ყოფა მდიდრული,
და თავმჯდომარე გულით ენთება
გმიოული შრომით გულმდიდური!..
ათი თვის ბუღა ველზე ბუღრობს,—
სალამი შენდა სიცოცხლევ ნორჩო!
სალამი თეორო წვერო ულრანო,
ბუღის მომვლელო მოხუცო ნორჩო!
არის მარულა—გმირთა შეკრება,
ეხედავ მთები და ტყეც განაბულა;
სამურზაყანოს გმირი ლაკერბა
დაუჯერითებს რაშს არაბულს.

ხან ბაისა ამხანაგური —
— კომკავშირელნი ზეიმს ხვდებიან;
იქვე — ქარხანა ქშინავს აგურის
და მოგუგუნე ტყე და მთებია.
აი, ცხოვრება — ხალხის იმედი
კვირაა — პარკში ყველა მოსულა,
მირდენის*) მოჰყავს ველოსიპედი
და მირგინავა **) შვებით მოსილა.
ქმნიან ოჯახის ახალ კერიას
კომკავშირელი მურზაყანელნი...
და—ნადიმს იხდის ბულისკერია
დღე დადგომია გასახარელი.
და ჯგუფურია ***) ივლის მიდამოს,
როგორც შეშვენის ხალხის მესვეურს...
ამბობს: მადანი ვპოვოთ მთიდანო
აქეზებს მუშებს მთაში შესეულთ.
სიხარულია ჩაი და ტუნგო
და ოქუმჰესიც ხალხის მნათია,
აქ გმირმა ბუღებს ფერმა აუგო
და მედგარ შრომით ღამე ათია.
უხვი მოსავლით გვალხენს თამბაქო
და იზაბელა შავნაბადური,
არ შემიძლია გულით არ ვაქო
მხარე ნაყოფით გულგაბადრული.
არ შემიძლია რომ არ გუმღერო
ოქუმს — ამ ახალ სამურზაყანოს,
არ შემიძლია ჰიმნი არ გუთხრა
ჰიმნი გმირული და სათაყვანო!..

*) მირდენი—კომკავშირელის საწელია.
**) მირგინავა — ოქუმის კომკავშირის კომიტეტის მდივანი. აქ აღნიშნული სხვა გვარები, ყველანი კომკავშირელები არიან.
***) გიორგი ჯგუბურია—ოქუმის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

◇ ○ ◇

მარიკა მიქელაძე

კომკავშირმა მოგცა ბედი

(აფხაზ მფრინავ ქალს—მერი ავიძგას)

1.

ნაადრევი შემოდგომის დარი ოქროდ დარობდა,
ზღვის ხაპირზე გაქცეული პალმა ალმდარობდა,
სხვა ხეები მორცხვად იდგნენ, ბაღს ჩრდილებით ბარდნიდნენ,
ზღვა ფოთლებში იცინოდა, ბაღში შემოვარდნილი,
რბოდა ჭაღის ჭარავანი სადღაც ტაშით, სიცილით,
მაგ თვალების ელვას გავდა ზღვაში ოქროს ციმციმი.

2.

გახსოვს დილა: ზღვა შფოთავდა ჭირვეული ბავშვივით.
მარტო იჯექ მამის ბაღში გრძელ ნაწნავებ გაშლილი,
წარბშეკრული დასცქეროდი... დებმა მოაყუროდეს
და რა ნახეს? — გაზრდილიდან ამოჭრილი სურათი.
უფროსმა დამ ცალი მხარი აიჩეჩა ამაყად:
„—რას არ გადაეკიდები, —უცნაური რამა ხარ!
არც ლამაზი ქალი არის, არც ნახატი ფერადით,
მაშ რიღასთვის ჩასცქეროდი, ასე რისთვის ღელავდი?
შენ ჯიუტად უპასუხე: „—მეხსენ, არა მცალიან!
რა ქალია? დიდებული! ის მფრინავი ქალია!
მან ქვეყანა გადიფრინა, არ შეუდრკა ქარიშხალს,
მეც მასავით ვიყო მინდა, ცაში შეეხვდე გარიჟრაჟს!

ეს იყო და ერთი აზრი მტკიცედ აიკვიატე:
გადათქვი, გთხოვდა მამა, წარბშეკრული, ზვიადი,
დედა ბევრი გემუდარა სევდიანის კილოთი,
შენ ამბობდი:—არა, არა, მე გავხდები პილოტი!
— ვაჟებში რომ გაერიო, ხალხის არა გრცხვენია?
მსურდა ვაჟკაცს გაყოლოდი შავყორანა ცხენიანს,
მსურდა შენთვის კარგი ბედი, სანაქებო მზითევი,
შენ კი მთელი აფხაზეთის გახდი მისათითები!

ბევრჯერ მოგადარდიანეს, დარდი ცრემლით აზავე,
მაგრამ შენი კომკავშირი მხარში გედგა ძმასავით,
ნებისყოფა მოგცა რკინის, იჭვებს გადაგარიდა,
წამოგჩიტა, დაგაფრინა მტრედთა საბუდარიდან,
ძველი ხავსი იავარჰყო, მზის აკვანი არწია,
დღეს მტრედებმაც იამაყონ, რომ გაგზარდეს არწივად!

3.

მუქ ლაჟვარდში ასულ პალმას უთრთის მწვანე თითები
და შენსავით ურჩი ტალღა ურტყამს კლდოვან ნაპირებს;
ულევია, უთვალავი, ქალო, შენი მზითევი,
თან წაიღებ ვარსკვლავეთ ოქროს, ცის ელვარე საპფირებს:
თან წაიღებ გმირულ საქმედ ამღერებულთ მითებად,
თან წაიღებ შრომებელ ერის ვაშასა და დიდებას.

მტერი ტუტუნს შინ და გარედ ჩვენს მზესა და გარიჟრაჟს,
თუ მოვარდა მტრული ქარი, შენ დახვედი ქარიშხლად,
დღეს კი ლაჟვარდ ცაში შედი, გახსენ ნისლის ფარდები,
ჰყვავეს შენი აფხაზეთი და შენც იავარდები,
კომკავშირმა მოგცა ბედი, მზეს ხალისად გაგიშლის,
ახალგაზრდა აფხაზეთის თვალცისმცემა ქალიშვილს!

სოხუმი, ოქტომბერი.

◇ ○ ◇

მაყვალა მრევლიშვილი

ცაცა ქარდავა

ნათელ ოდაში სურათი არა:
ცაცა ხელს ართმევს მომღიმარ
ბელადს,—
აფხაზეთიდან მოსული ქალი —
ალალი შრომის მახარობელად.
ჯილდოს პასუხად დასდო პირობა,
და დაპირებას აჯობა რვაჯერ,
პირნათლად შესძლო ქალმა გმირობა —
მზემც დაჰფენია მადლიან მაჯებს.
ნათელ ოდაში, მეგრულ ბუხართან
დარჩა სურათი სახლის ხალისად,
ცაცას ნაშრომი თემს გაუხარდა—
საქმეს გაუძღვა ოცი ქალისას.
იწვის რიყრაკი ფერად ზოლებად
ცა გაეცალა დაოთქვილ მიწას,
ფერდობს ამოჰყვნენ მარჯვე
ტოლები,
ველმა შრიალით სალამი მისცა:
პირდაბანილი ჩაის ბუჩქები
შემოეგებნენ მარჯვენას ნაცადს,
ჭორფა ფოთლები უჩუქებიათ,
ეხვეწებიან — წაიღე ცაცა!

წელში დახრილი მუშაობს
სწრაფად
შრომის ცეცხლი აქვს ღონიერ
ხელში,
ლხინად ჰქცეულა ქალების ჯაფა
მზემოკიდებულ, მხუთავალე
ველში.
გაისმის ხმირი ფოთლის ტკაცა-
ცანი,
თითქოს ნეკერზე გასწულა ფარა,
ჩაიწვა მზე და ოქროს ნაცარი
საღამოს ზღვაზე გადმოაყარა.
ქრება ბინდ-ბუნდი ფერად ზო-
ლებად,
კვლავ მუშაობენ მღერით, კამა-
თით
ბევრჯერ დაცალეს მარჯვე ტო-
ლებმა
ზურმუხტი ხვავით სავსე კალთა.
სავსე გოდრებიც წაიღეთ მალე
თორემ ფოთოლი ზვინად გადა-
ვა,—
კრეფს კოჩარელი ქალების თვალ
კომკავშირელი ცაცა ქარდავა!

ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲔᲗᲐ ᲨᲔᲡᲐᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒᲝ ᲙᲚᲐᲡᲔᲑᲨᲘ

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲙᲣᲠᲡᲘᲡ ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲔᲗᲐ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲔᲑᲐᲨᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲔᲜ ᲛᲔᲗᲝᲓᲘᲣᲠᲘ ᲛᲘᲛᲝᲮᲘᲚᲕᲐ

ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲔᲑᲛᲐ!

ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲔᲑᲛᲐ!

ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲔᲑᲛᲐ!

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲙᲣᲠᲡ